1980

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
8 მარტი
1940 წ.
№ 55 (5756)
ფასი 10 კაპ.

გუშინ გაიხსნა თბილისის საქალაქო **XVIII** პარტიული კონფერენცია. თბილისის ბოლშევიკები თავიანთ კონფერენციაზე მოვიდნენ მტკიცედ დარაზმულნი საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

კონფერენციამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის შინაარსიანი მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის—8 მარტის შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები 1940 წელს დღესასწაულობენ სსრ კავშირში სოციალიზმის ახალ გამარჯვებათა ვითარებაში, მშრომელთა ბოლშევიკური და საწარმოო აქტივობის უდიდესი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისა და ბოლშევიკური პარტიის გარშემო მისი შემჭიდროების პირობებში.

სსრ კავშირის სოციალისტური განვითარების ერთერთ ბრწყინვალე შედეგს წარმოადგენს საბჭოთა ქალების აქტივობის ზრდა კომუნისტური მშენებლობის მთელ საქმეში.

ყოველწლიურად იზრდება ქალის როლი მრეწველობაში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, კულტურისა და მეცნიერების ფრონტზე. სტალინური ხუთწლედების მანძილზე მუშა და მოსამსახურე ქალთა რაოდენობა ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა, 1929 წლის 3 მილიონიდან 10,7 მილიონამდე 1939 წელს, რაც უდრის სსრ კავშირის მუშათა და მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობის 37,4 პროცენტს.

საბჭოთა ქალები წარმატებით ეუფლებიან ურთულეს პროფესიებსა და სპეციალობებს, რომლებიც წინათ მისაწვდომი იყო მხოლოდ მამაკაცებისათვის. რკინიგზის ტრანსპორტზე ქალები მუშაობენ მემანქანეებად. მეტალურგიაში — მეფოლადეებად, ქვანახშირის მრეწველობაში — საყელავი მანქანების მემანქანეებად და სხვ. საბჭოთა კავშირის მსხვილ მრეწველობაში ქალთა ხვედრითმა წონამ 41,6 პროცენტს მიაღწია.

კოლმეურნე ქალები წარმატებით ეუფლებიან კომბაინერთა, ტრაქტორისტთა, მექანიკოსთა, შოფერთა პროფესიებს. მტს-ების მექანიზატორთა კადრებს შორის 1939 წელს მუშაობდა 60 ათასი ქალი. ტრაქტორისტების, კომბაინერებისა და შოფერების კურსებზე და სკოლებში ახლა ასი ათასზე მეტი კოლმეურნე-ქალი სწავლობს.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ განსაკუთრებული სიცხადით გამოამჟღავნა ქალის როლი სოფლის მეურნეობაში. გამოფენის ორიათას რვაას ოთხმოცდათორმეტი მონაწილიდან, რომელნიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ დაჯილდოებული არიან ოქროს დიდი და პატარა medalით, შვიდას სამოცდა ხუთი ქალია.

ყოველწლიურად იზრდება ინჟინერ და ტექნიკოს-ქალთა, მეცნიერ მუშაკ-ქალთა რაოდენობა.

ათიათასობით საბჭოთა ქალები წარმატებით მუშაობენ ხელმძღვანელ პოსტებზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ასიათასობით ქალები არჩეული არიან სსრკ სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებში. ათას ექვსას ოცდახუთი ქალი სსრკ უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატია, ოთხას ოც ათასზე მეტი — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში საბჭოთა ქალები წარმოადგენენ უდიდეს ძალას, რომლებიც თავიანთი საგმირო საქმეებით სახელს უხვეჭენ ჩვენს სამშობლოს, ანმტკიცებენ რა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

საბჭოთა ქალები ფართო მონაწილეობას იღებენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. ყოველდღიურად იზრდება სტახანოველ-ქალთა, მრავალდაზგოსანთა რიგები. უფრო და უფრო ფართოდება წრე ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი წარჩინების ნიშნებით — სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოებული მოწინავე საბჭოთა ქალებისა.

საბჭოთა ქალები გვიჩვენებენ თავდადების ნიმუშებს სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცებაში და თავისი სამშობლოს გმირულ დაცვაში. უკვე ცოტა როდი არიან ქალები, სსრ კავშირის ორდენებითა და medalებით დაჯილდოებულნი საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან გამოჩენილი სიმამაცისა და გულადობისათვის.

საბჭოთა წყობილებამ აღზარდა ახალი ტიპი ქალისა, რომელიც გვიჩვენებს კომუნისტური შეგნებულობის ნიმუშს, უსაზღვროდ ერთგულია თავისი სამშობლოსი და კომუნიზმის დიადი საქმისა.

ქალის ფართო მონაწილეობა ქვეყნის საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც ამისთვის შექმნილია ყველა საჭირო პირობა. ქალს მხოლოდ სსრ კავშირში აქვს შექმნილი ყველა პირობა უზრუნველყოფილი და ბედნიერი დედობისათვის. მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არა აქვს ასეთი მოფიქრებული, მრავალფეროვანი სისტემა დაწესებულებებისა, რომლებიც ეხმარებიან დედას ჯანსაღი ბავშვების აღზრდაში: დასასვენებელი სახლები ორსულთათვის, ბავშვთა კონსულტაციები, ბაგები, სარძეო სამზარეულოები, საბავშვო ბაღები, საბავშვო სანატორიუმები, პიონერთა ბანაკები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სახელმწიფომ მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად გასცა სამ მილიარდ მანეთზე მეტი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე — 8 მარტი ჩაატარონ როგორც მასობრივი პოლიტიკური კამპანია, უჩვენონ კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, ღრმა განსხვავება საბჭოთა ქალის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელის, თავისუფალ, სრულუფლებიან მდგომარეობასა და კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალების ჩაგრულ მდგომარეობას შორის.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ ქალების კიდევ უფრო მეტად ჩაბმას მრეწველობაში და ტრანსპორტზე, ქალის როლის შემდგომ ამაღლებას სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში; ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ საბჭოთა ქალების მოძრაობას რთული პროფესიების დაუფლებისათვის მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში, თავდაცვითი და სამედიცინო სპეციალობათა დაუფლებისათვის. საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ პოსტებსა და თანამდებობებზე მოწინავე ქალებისა და ქალიშვილების დაწინაურებისათვის. ბოლშევიკური პარტიის რიგებში იმ საუკეთესო უპარტიო ქალების ჩაბმით, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავისი ერთგულება სამშობლოსა და კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ქალთა შრომის უდიდესი ზრდა მოითხოვს ქალთა საწარმოო ყოფაცხოვრებითი პირობების შემდგომ გაუმჯობესებას, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების, სამშობიარო სახლების, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, სამრეცხაოების და სხვ. მუშაობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას. საჭიროა ამ მუშაობაში და ქალთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების კონტროლის საქმეში ფართოდ ჩავაბათ თვით მშრომელი ქალები და, პირველ რიგში, საბჭოების დეპუტატი ქალები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალრიცხოვან ქალთა აქტივი.

უნდა ახსოვდეთ რა, რომ ბავშვების, ჩვენი მომავალი თაობის, აღზრდა წარმოადგენს ქალის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მზრუნველობა ქალ-დედის მიმართ, შეჰქმნან ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ ქალებმა-დედებმა სკოლამდის და კომკავშირთან ერთად უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა კომუნისტურ აღზრდაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ქალთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომ ამაღლებას, მათი კომუნისტური შეგნებულობის, პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ამაღლებას მესამე სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის, კომუნიზმის შემდგომი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

თბილისის საქალაქო XVIII პარტიული კონფერენცია

თბილისის საქალაქო XVIII პარტიული კონფერენცია მუშაობას შეუდგა

გუშინ გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა თბილისის XVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია.

კონფერენციას ესწრება 475 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 97 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა **კ. ნ. ჩარკვიანმა.**

ორგანიზებულად ხდება კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა.

საქმიან პრეზიდიუმში თბილისის XVIII საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ აირჩია ამხანაგები: **კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე, ფ. ე. მახარაძე, ა. ე. თოფურიძე, ი. ყ. თავაძე, ს. მ. იშხნოვი, ე. ი. ჩერქეზია, ა. თ. კვაჭაძე, დ. ა. ჰუჩინაძე, ი. ვ. ტიულენევი, ი. ა. დევსურაშვილი, ი. დ. კოჭლამაზაშვილი, ვ. ე. სალაძე, რ. ა. კვირკველია, მ. დ. ჩუბინიძე, ნ. ვ. გელაძე, გ. ა. გოჩაშვილი, თ. გ. როსტომაშვილი, ი. ა. დორონინი, ე. მაზანაშვილი, ფ. ა. დუბოვსკოი, გ. კ. ცქიტიშვილი, მ. ი. კუჭავა, მ. ფ. გეწაძე, ვ. გ. გრიგორიანი, პ. ვ. მჭედლიძე, ა. ა. წორავა, ნ. გ. გალუსტოვი, ნ. ი. ჩარკვიანი, ვ. ა. გარსევანიძე, ვ. ვ. სახარულიძე.**

კონფერენციის სამანდატო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ბ. ი. ლელინი, კ. ა. ბერიშვილი, მ. ი. არაქელოვი, გ. ი. მღებრიშვილი, ო. მ. მდინარაძე, კ. ნ. ჩაგუნავა, გ. ს. კიკნაძე.**

სამდივნოში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ვ. ა. ხატიაშვილი, გ. გ. სანაკოევი, ი. სვანაძე, ლ. გორგიძე, გ. დ. ჩარაევი, ე. გ. ფოფხაძე, გ. ი. ცქიტიშვილი,**

მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით კონფერენცია საპატიო პრეზიდიუმში არჩევს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს.** ადგილებიდან ისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“, „გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას!“. კვლავ და კვლავ გაისმის მქუხარე ტაში. კონფერენცია ხანგრძლივი ოვაციით ხვდება საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლების ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, მ. ი. კალინინის, ა. ა. ანდრეევის, ა. ა. ჟდანოვის, ა. ი. მიკოიანის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ლ. პ. ბერიას** და **ნ. მ. შვერნიკის** არჩევას.

კონფერენცია ამტკიცებს შემდეგ დღისწესრიგს:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი).**

2. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. **გ. ელისაბედაშვილი).**

3. არჩევნები თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატებისა.

კონფერენცია უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ღებულობს წინადადებას — გაეგზავნოს მისალმება მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

დარბაზიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“ ტექსტის წაკითხვას არაერთხელ აწყვეტინებენ ტაშით.

○

საანგარიშო მოხსენებით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი,** რომელსაც კონფერენცია გულთბილად შეხვდა.

თავის მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს მოჰყავს მრავალრიცხოვანი კონკრეტული მაგალითები და ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იბრძოდა თბილისის პარტიული ორგანიზაცია, დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ აღზრდილი, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განხორციელებისათვის.

თბილისის ბოლშევიკებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი **ლ. პ. ბერია,** გამოაშკარავეს ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და მკვლელები და აღმოფხვრეს მათი ძირითადი ბუდეები, მოაწყეს ბოლშევიკური ბრძოლა მრეწველობასა და ქალაქის მეურნეობაში მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ერთერთი ძირითადი პირობა იმ მიღწევებისა, რომლებითაც თბილისის პარტიული ორგანიზაცია მოვიდა თავის XVIII პარტიულ კონფერენციაზე, არის **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმის ერთგულ ასობით ახალ წიგნიერ და მომზადებულ მუშაკთა აღზრდა და ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურება.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებაზე მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების არჩევნებში.

საანგარიშო მოხსენებაში დიდი ადგილი დაიკავა სოციალისტური საქართველოს დედაქალაქის მზარდი მრეწველობის საკითხებმა. საწარმოების ხელმძღვანელები.—ამბობს ამხ. კ. ჩარკვიანი, — პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა განხორციელება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ საწარმოო წამოწყებათა პარტიული ორგანიზაციებისათვის მინდობილი უფლებისა — კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის საქმიანობას.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს იმ დიდ მუშაობაზე თბილისის რეკონსტრუქციისათვის, რომელიც დაიწყო ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ინიციატივით. ეს მუშაობა შეუსუსტებლად გრძელდებოდა 1938 და 1939 წლებში.

შეეხო რა ვაჭრობის, მოსახლეობის მომარაგების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი გადადის პარტიული მუშაობის საკითხზე.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და ორგანიზაციების დაწვრილებითულების შესახებ ამხანაგ **სტალინის** მითითებათა საფუძველზე თბილისში შეიქმნა ორი ახალი რაიონი—**ვ. მ. მოლოტოვის** და **ლ. პ. ბერიას** სახელობისა. ახალი რაიონების შექმნამ საშუალება მისცა თავისი დანიშნულება: პირველადი პარტიული ორგანიზაციების, საქალაქო მეურნეობისა და მრეწველობის ხელმძღვანელობა უფრო მოქნილი, ცოცხალი და კონკრეტული გახდა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა ცოტა მუშაობა როდი ჩაატარა კადრების შერჩევისა, დაწინაურებისა და სწორად განრიგებისათვის. 1938 წლის ივლისიდან 1940 წლის 1 მარტამდე პარტიის თბილისის კომიტეტმა და რაიკომებმა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირულ და პროფკავშირულ მუშაობაზე წამოაყენეს ხუთი ათასამდე კაცი.

ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინური პრინციპის დაცვის საფუძველზე საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ თბილისის XVII პარტიული კონფერენციის შემდეგ განვლილ პერიოდში თავის რიგებში 9.604 კაცი მიიღო მოწინავე მუშების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა ინტელიგენციის რიცხვიდან. პარტორგანიზაციის ზრდა განსაკუთრებით გაძლიერდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ. აღნიშნა რა საქალაქო პარტორგანიზაციის რიგების მნიშვნელოვანი ზრდა, ამხ. კ. ჩარკვიანი შეჩერდა პარტიაში მიღების დარგში მუშაობის ნაკლოვანებებზე. ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და რაიკომებმა მიატოვეს ზრუნვა პარტიული რიგების ზრდის რეგულირებაზე, არ სწავლობდნენ მისაღებთა შემადგენლობას. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ საკ. კ. პ. (ბ)-ში შესულთა შორის არასაკმაოა წამყვანი პროფესიების მუშათა პროცენტი. ადგილი ჰქონდა შეუმოწმებელი ადამიანების მიღების ფაქტებს. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა პარტიაში მიღებულებთან სისტემატური მუშაობის საჭიროება.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაითმო პარტიული პროპაგანდის საკითხებს. ამხ. კ. ჩარკვიანმა მოიყვანა მრავალი იმის მაგალითი, თუ როგორ ბეჯითად მუშაობენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დამოუკიდებლად შესწავლისათვის სტალინური „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსით“ შეიარაღებული კომუნისტები და არაპარტიული ბოლშევიკები.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების განხორციელების საფუძველზე, პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მცირე მუშაობა როდი ჩაატარეს პარტიული პროპაგანდის გარდაქმნისათვის. ამას მოწმობს ის, რომ 1939 წლის იანვრიდან 1940 წლის მარტამდე თბილისში ჩატარდა 1.150 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 145 ათასზე მეტი კაცი. მიუხედავად ამისა, ჩვენი კადრების პოლიტიკურად თვითგანვითარებისათვის დახმარების საქმეში არსებობს ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ლექციებისათვის მომზადება, პარტიის თბილისის კომიტეტისა და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები იჩენენ წრეების მნიშვნელობის ერთგვარ შეუფასებლობას, არასაკმაოა რაიკომების მხრივ პროპაგანდისტებისათვის დახმარება.

შეეხო რა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შედეგებს, ამხ. კ. ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადი პარტორგანიზაციების დიდს უმრავლესობაში ჩატარდა მაღალ პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტების დიდი აქტივობით.

88 პარტორგანიზაციაში ბიუროების ან მდივნების მუშაობა ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად. თბილისის პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა შემადგენლობა განახლდა 30,18 პროცენტით.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებმა ერთხელ კიდევ გვიჩვენეს თბილისის პარტორგანიზაციის მაღალი ბრძოლის უნარიანობა, მისი მჭიდროდ დარაზმულობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ამხანაგ **სტალინის** ირგვლივ.

საერთაშორისო მდგომარეობა პარტიასა და მთელს საბჭოთა ხალხს ავალებს უფრო დიდი ენერგიით იმუშაონ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის საბრძოლო სიმძლავრისა და ტექნიკური შეიარაღების გაძლიერებისათვის, არმიის, რომელმაც პანების უღლისაგან გაათავისუფლა მშრომელები და თავისუფლება მიაქვს ფინეთის ხალხისათვის.

შეეხო რა თავდაცვა-ავიაქიმის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ზურგის გამაგრებისა და წითელი არმიისათვის ახალი რეზერვების მომზადების საქმეში, ამხანაგი **კ. ნ. ჩარკვიანი** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ თავდაცვა-ავიაქიმს.

კონფერენცია ხანგრძლივი ტაშით ეგებება მომხსენებლის — ამხ. კ. ჩარკვიანის საბოლოო სიტყვებს: „ტროცკისტულ-ბუხარინული ორპირების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გამცემლების წინააღმდეგ ბრძოლაში ამხანაგ ბერიას მიერ აღზრდილი და გამოწრთობილი თბილისის პარტიული ორგანიზაცია მომავალშიაც იქნება ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი. იგი მომავალშიაც იქნება კომუნიზმისათვის მებრძოლთა არმიის მოწინავე რაზმთა რიცხვში და მაღლა ატარებს **ლენინ-სტალინის** უძლეველ დროშას.

გაუმარჯოს ჩვენს მამას და ბელადს, მშობიურ **სტალინს!**“

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. **გ. ელისაბედაშვილის** მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

თბილისის XVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის პირველი სხდომა ამით დამთავრდა.

მეორე სხდომა გაიხსნება დღეს, დილის 11 საათზე.

ბაქოს საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

ბაქო, 5 მარტი (საკდესი). ბაქოს XXIV საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ბაქოს კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ბაგიროვის საანგარიშო მოხსენება.

ამხ. ბაგიროვმა დაწვრილებით ილაპარაკა ბაქოს პარტიული ორგანიზაციის წარმატებებზე, რომლებსაც მან მიაღწია მოპოვებისა და ბურღვის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად ნავთის მრეწველობის მუშაკთა მობილიზაციაში, ილაპარაკა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდაზე.

საანგარიშო პერიოდში — XXIII პარტიული კონფერენციის შემდეგ — საქალაქო ორგანიზაციის რიცხვობრივი შემადგენლობა 11 ათასი კაცით გაიზარდა. პარტიული ორგანიზაციის ზრდასთან ერთად მისი იდეურ-პოლიტიკური დონეც ამაღლდა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელების გზით ბაქოს ორგანიზაციამ აღზარდა მრავალი ახალი კომუნისტური მებრძოლი კადრი.

შესანიშნავი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი, რომლებიც ახლა უხარიანად ხელმძღვანელობენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებს.

ამხ. ბაგიროვმა მკაცრად გააკრიტიკა პარტიის ცალკეული რაიკომებისა და ნავთის ტრესტების ხელმძღვანელების მუშაობა, რომლებმაც ვერ შესძლეს უზრუნველეყოთ მოპოვებისა და ბურღვის გეგმების შესრულება 1939 წელს.

მომხსენებელმა მთელი სიმწვავით დასვა საჭითხი, რომ საჭიროა ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერება.

მოსკოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თბილისის XVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია მგზნებარე, ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ—ბოლშევიკების პარტიის დიდ, საყვარელ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელსა და მეგობარს!

თქვენი ხელმძღვანელობით პირველად კაცობრიობის ისტორიაში აგებულია სოციალიზმის დიდებული შენობა.

სსრ კავშირი გახდა ძლავრი, უძლეველი, სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც მთელი მსოფლიოს ჩაგრულთ უჩვენებს კომუნიზმისათვის ძლევამოსილი ბრძოლის დიად მაგალითს.

ეს უდიდესი ისტორიული მიღწევები მოპოვებულია ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, რომლის გზას ბრწყინვალედ აშუქებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრება.

ბოლშევიკების დიადი პარტიის ფოლადისებურ, ბოლშევიკურ მონოლიტობას საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მშობლიური, საყვარელი სტალინის გარშემო ბრწყინვალედ ცხადჰყოფს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მიმდინარე ანგარიშგება და არჩევნები.

თბილისის ბოლშევიკები, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული რაზმი, თავიანთ XVIII საქალაქო კონფერენციაზე მოვიდნენ ბოლშევიკური დარაზმულობის დროშით, მზად არიან რა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის, მშობლიური მამის, მასწავლებლისა და მეგობრის — დიდი სტალინის ყოველი დავალება.

ჩვენ, თბილისის ბოლშევიკები, ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ ჩვენ აღგვზარდა და მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლაში გამოგვაწრთო ხალხთა დიდმა ბელადმა, თანამედროვეობის უდიდესმა ადამიანმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა, რომლის ნებისყოფა მთელი ჩვენი ცხოვრებისა და ბრძოლის კანონია.

საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე ანზოგადებენ რა პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის დადებითს გამოცდილებას, სპობენ რა ამ მუშაობის ნაკლოვანებებს, ღრმად სწავლობენ რა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სტალინურ სახელმძღვანელოს, აძლიერებენ რა საფუხიზლეს მტერთა ნაბოლარების ოინების მიმართ,—თბილისის ბოლშევიკები თავის XVIII საქალაქო კონფერენციაზე შეჯამოწმებენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თქვენი ისტორიული მითითებების შესრულებას.

პარტიაში მიღებისას ინდივიდუალური მიდგომის ლენინურ-სტალინური პრინციპის მტკიცედ განხორციელების საფუძველზე თბილისის პარტიული ორგანიზაციის რიგები მნიშვნელოვნად შეივსო მუშებისა და საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე, შემოწმებული წარმომადგენლებით, გაიზარდნენ აქტივის კადრები, ხელმძღვანელ პარტიულ, პროფკავშირულ, სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებული არიან ახალი ადამიანები, ლენინ-სტალინის საქმის ერთგულნი.

ვეუფლებით რა რევოლუციურ თეორიას, ვამახვილებთ რა ბოლშევიკურ სიფხიზლეს, ვსპობთ რა სოციალიზმის ყველა მტერს, ჩვენ მთელ ჩვენს მუშაობაში შევეცდებით სტალინურად ვიმუშაოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

ახსოვთ რა თქვენი ბრძნული მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, თბილისის ბოლშევიკები კიდევ მეტი ენერგიით მოჰკიდებენ ხელს მასობრივ - თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესებას და სტახანოვური წარმატებებით — თვითეული თავის პოსტზე — დაეხმარებიან ჩვენს გმირულ წითელ არმიას, რომელმაც პანების უღლისაგან გაათავისუფლა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი და რომელსაც განთავისუფლება და ახალი ცხოვრების სიხარული მიაქვს ფინელი ხალხისათვის.

თქვენი სახელით აღფრთოვანებულნი, გმირული წითელი არმია და სამხედრო - საზღვაო ფლოტი ანადგურებენ ომის ინგრისელ-ფრანგ გამჩაღებელთა თეთრფინელ დაქირავებულ აგენტებს, სპობენ რა ომის კერას სოციალიზმის დიადი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე.

თქვენი სახელი სოციალიზმის გამარჯვებათა დროშაა.

ლენინ-სტალინის დიადი დროშით საბჭოთა ქვეყნის ხალხები და მთელი მსოფლიოს მშრომელნი მიაღწევენ კომუნიზმის გამარჯვებას, ვინაიდან მათ ხელმძღვანელობს ბოლშევიკების პარტია, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ დიდ სტალინს!

კიევის საქალაქო პარტიული კონფერენცია

კიევი, 5 მარტი (საკდესი). კიევის საქალაქო პარტიული კონფერენციის საღამოს სხდომა იხსნება ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის თავმჯდომარეობით.

ცხადდება ფარული კენჭისყრის შედეგები. უკრაინის კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულია 71 კაცი, სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში — 7 კაცი.

მქუხარე ტაშით ხვდებიან დამთვლელი კომისიის ცნობას, რომ უკრაინის კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის შემადგენლობაში ერთსულოვნად არჩეულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

კონფერენციამ დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ლენინგრადის სამხედრო ოლქისა და ბალტიის წითელდროშოვ

პარტიული ცხოვრება

სამხრეთ-ოსეთის საოლქო XVIII პარტიული კონფერენცია

(სტალინირი, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

7 მარტს გაიხსნა სამხრეთ-ოსეთის საოლქო XVIII პარტიული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

საქმიანი პრეზიდიუმის, სამდივნოსა და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ, ხანგრძლივი ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი,** აგრეთვე ამხანაგები: **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი** და **ჩარკვიანი.**

კონფერენციამ მოისმინა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილის საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის **ანგარიში.**

დღეს დილის სხდომაზე დაიწყება კამათი მოხსენებათა გარშემო.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი კადრების დარგში ამხ. **ა. თოფურიძე.**

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის II საქალაქო კონფერენცია

(„კომუნისტის“ კორესპონდენტებისაგან)

5-6 მარტს მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის II საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო და სტალინირის საქალაქო კომიტეტების მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

კონფერენცია საქმიან პრეზიდიუმის, სამანდატო კომისიისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს.

ამხ. ა. ჯაბაგებოვს შემოაქვს წინადადება საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი **სტალინი.** მთელი დარბაზი ფეხზე დგება. გაისმის შეძახილები „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „ვაშა, ბედნიერი და საამური ცხოვრების შემქმნელს ამხანაგ სტალინს!“.

მჭუხარე ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს: **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ჟდანოვს, მიქოიანს, ანდრეევს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს** და **კ. ჩარკვიანს.**

დელეგატებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ცხოვრებაშვილის საანგარიშო მოხსენება.

— ქალაქ სტალინირის პარტიულმა ორგანიზაციებმა, — სთქვა ამხ. ცხოვრებაშვილმა, — ხელმძღვანელობდნენ რა დიდი სტალინის მითითებებით და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს. აყვავდა და გაიფურჩქნა სამხრეთ-ოსეთის ცენტრი — ქალაქი სტალინირი. წინანდელი დაბა გადაიქცა საქართველოში ერთერთ მოწინავე კეთილმოწყობილ ქალაქად. აშენდა სასტუმროს, საავადმყოფოს, საბჭოების სასახლის შესანიშნავი შენობები; ასფალტირებულია ქუჩები, დამთავრდა წყალსადენის მშენებლობა. ფეხი მოიკიდა აგრეთვე მრეწველობამ. გვაქვს აგურის, კრამიტის, ხეტყის გადასამუშავებელი ქარხნები.

შემდეგ ამხ. ცხოვრებაშვილი ლაპარაკობს საკ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდაზე. — საანგარიშო პერიოდში, —ამბობს მომხსენებელი, — პარტიის რიგებში მიღებულია პარტიის წევრობის 425 კანდიდატი და კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხულია 340 კაცი. ჩამოყალიბდა 22 ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია. მიღებულთა შორის არიან წარმოების მოწინავე სტახანოველები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა პარტიული პროპაგანდის მუშაობის გაუმჯობესებაზე.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

დაიწყო კამათი. პირველად სიტყვა იღო ამხ. რ. ალბოროვმა, რომელმაც ღრმად და ვრცლად ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომლებიც სტალინირის ბოლშევიკებმა მოიპოვეს სახალხო განათლების დარგში.

ამხ. ა. ნალბანდოვამ მკაცრად გააკრიტიკა მთელი რიგი პარტორგანიზაციების სუსტი მუშაობა და აღნიშნა აგრეთვე მიღწევები პარტიის რიგების ზრდის საქმეში.

— საგრძნობლად გაუმჯობესდა პროპაგანდისტული მუშაობა, — ამბობს ამხ. ს. ჯიოევი, — მაგრამ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანიც. კერძოდ, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია წრეების მუშაობა, არც ისე ხშირად ტარდება ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მხრივ საოლქო გაზეთების ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

ამხ. პ. იურახნომ ვრცლად ილაპარაკა თავდაცვითის მუშაობაზე. მან აღნიშნა, რომ სტალინირის პარტიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა ს. თედეევმა, ა. ხეროდინაშვილმა, გ. კაბულოვმა, შ. ხუხაშვილმა და სხვ., სულ 28 კაცმა.

კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რის შემდეგ მიღებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი ქალაქკომის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კონფერენციამ ქალაქკომის პლენუმის შემადგენლობაში აირჩია 41 წევრი და 11 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში — 7 კაცი. სამხრეთ-ოსეთის XVIII საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატად არჩეულია 69 კაცი (გადამწყვეტი ხმის უფლებით 56, სათათბიროთი — 13 კაცი). საოლქო კონფერენციის პირველ დელეგატად არჩეულია ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** და აგრეთვე ამხანაგები: **მოლოტოვი, ბერია, ჩარკვიანი, თოფურიძე, ცხოვრებაშვილი** და სხვ.

○

6 მარტს შესდგა საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. საქალაქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში არჩეულ იქნა 7 წევრი და 2 კანდიდატი. საქალაქო კომიტეტას პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ვ. ცხოვრებაშვილი,** მეორე მდივნად ამხ. **ვ. ვალიევი** და მესამე მდივნად ამხ. **ეფროსინე გასიევა.**

მ. თევზაძე
კ. ტრაპაიძე

გაიხსნა აჭარის XVIII საოლქო პარტიული კონფერენცია

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

7 მარტს სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიხსნა აჭარის XVIII საოლქო პარტიული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ. საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. კ. შეროზია, ბარამია, თვალჭრელიძე, კორძაია, ფუტკარაძე, ჯიბლაძე, რუხაძე, ტოგონიძე, დავითაძე, კოჭლავაშვილი, სანაკოძე, ხელაძე, ნიკოლაძე და სხვები, სულ 21 კაცი.

კონფერენციამ მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** და აგრეთვე ამხანაგები **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი** და **ჩარკვიანი.**

დღისწესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ მოისმენილ იქნა აჭარის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. მ. ბარამია. შემდეგ მოისმენილ იქნა სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი—ვ. დოლიძე).

კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს.

კონფერენციის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 8 მარტს.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის V საქალაქო კონფერენცია

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

4-6 მარტს ფაბრიკიუსის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა ბათუმის V საქალაქო პარტიული კონფერენცია.

დაუცხრომელი ტაშის გრიალში კონფერენცია საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს** და ამხანაგებს: **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს და ჩარკვიანს.**

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის ქალაქკომის მდივანი ამხ. მ. ბარამია.

— ბათუმის ბოლშევიკები, — სთქვა ამხ. ბარამიამ, — თავიანთ მეზუთე პარტკონფერენციაზე მოვიდნენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო მტკიცედ დარაზმულნი. ხელმძღვანელობდნენ რა დიდი სტალინის მითითებებით, პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად ბათუმის პარტიულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ბათუმის საწარმოებმა 1939 წლის საწარმოო გეგმა 104,8 პროცენტით შეასრულეს, რაც იმის შედეგია, რომ პარტორგანიზაციები საქმით ანხორციელებდნენ საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლებებს.

შეენო რა პარტაიში ახალ წევრობა მიიღო 21 დელეგატმა: სტეფანოვმა, ა. ოსეფაშვილმა, მ. მახარაძემ, ნ. ბალანკოვამ, პ. ცოცხვაიამ და სხვ.

ამხ. ბარამიას საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ აღფრთოვანებით გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს** და ჭართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას.**

კონფერენციამ აირჩია საქალაქო კომიტეტი 47 წევრისა და 15 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისიაში — 5 კაცი.

○

6 მარტს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის ქალაქკომის პლენუმი, რომელმაც აირჩია ქალაქკომის ბიუროდა მდივნები.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. **გიორგი თვალჭრელიძე,** მეორე მდივნად — ამხ. **ონ. ჯიბლაძე,** მესამე მდივნად — ამხ. **მ. ლობჟანიძე.** ქალაქკომის ბიურო არჩეულია 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. შეროზია.**

კ. დოლბორჯგინიძე

თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატთა ჯგუფი კიროვის რაიონიდან (მარცხნიდან): სხედან — **გ. პირუმოვა** — მეორე სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი, **შ. შაპავალოვი;** დგანან—**კ. ხუნიატოვი**—სტალინის სახელობის პირველი ფეხსაცმლის ფაბრიკის ორგანიზატორი, **ა. ეღიბერიძე** — პროფესორი, პირველი სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი, **დ. ხანთაძე** — რაიკომის მდივანი.

ფოტო რ. აკოფოვისა

საბჭოთა ხელოვნების დიდი გამარჯვება

(საუბარი ორდენოსან დრამატურგ ამხ. ა. კორნეიჩუკთან)

როგორც მკითხველებმა იციან, თბილისში ამჟამად იმყოფება ცნობილი დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. უკ-

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ორდენოსანი დრამატურგი **ა. კორნეიჩუკი.**

○

რაინის **სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ორდენოსანი **ა. კორნეიჩუკი.** დრამატურგი დაესწრო რუსთაველის თეატრში თავისი ჰეროიკის „ბოგდან ხმელნიცკის“ სპექტაკლს და გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები სპექტაკლის ავტორებსა და თეატრის კოლექტივს.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ა. კორნეიჩუკმა განაცხადა: „სპექტაკლმა „ბოგდან ხმელნიცკიმ“ რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრი ისტატობით გახსნა პიესის იდეა; მომჭედ პირთა ხასიათები მან მოხდენილ სცენიურ სახეებში ჩამოაყალიბა და ნამდვილად ამაღელვებელი სპექტაკლი შექმნა. უკვე მეორე სპექტაკლზე მე შევნიშნე მთელი რიგი ახალი ხერხები, რომლებითაც რუსთაველის თეატრის ხელოვნები სრულყოფენ მათ მიერ შექმნილ სცენიურ სახეებს.

დასასრულს, ამხ. ა. კორნეიჩუკმა სთქვა:—„მე მინდა მხურვალე მადლობა გადავუხადო რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის მთელ კოლექტივს იმ შესანიშნავი შემოქმედებითი მუშაობისათვის, რომელმაც დიდი გამარჯვება მოუპოვა საერთოდ ჩვენს დიად საბჭოთა ხელოვნებას“.

სსრკ საბჭომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს დადგენილება

(1940 წლის 8 თებერვლის დადგენილება № 191)

ვაშტკიცებ
სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი
ბენედიქტოვი
1940 წლის 20 თებერვალი

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1940 წლისათვის მარცვლეული კულტურების და ბაღახების ჯიშობრივი დარაიონება

(მიღებულია სსრ კავშირის მიწსაკომთან არსებული მარცვლეული კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის მიერ და განხილულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 30 დეკემბერს, დადგენილება № 2520).

მიღებულ იქნას შემდეგი ჯიშობრივი დარაიონება კულტურების მიხედვით:

შემოდგომის ხორბალი. კახეთის დაბლობი ნაწილისათვის, აგრეთვე ბორჩალოს, აღბულაღის, ლუშნებურგის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის და ყარაიის მთელი რაიონისათვის: ძირითადი ჯიში—„კოოპერატორკა“; დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი დოლისპური, შავფხა, თავთუხი (უკანასკნელი ორი ჯიში—ბორჩალოს, ლუშნებურგის, აღბულაღისა და გურჯაანის რაიონებისათვის), გომბორული (უფხო) — (გურჯაანის, თელავის, აღბულაღისა და ლუშნებურგის რაიონებისათვის), რაჭული (გელათური), ლაგოდეხის გრძელთავთავა, (უკანასკნელი ორი ჯიში ლაგოდეხის რაიონისათვის). სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაბლობი ნაწილისათვის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, გორის, კასპის, თბილისისა და საგარეჯოს რაიონებისათვის: ძირითადი ჯიში — დოლისპური 35/4; დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი დოლისპური, შავფხა, თავთუხი, „კოოპერატორკა“ (უკანასკნელი ჯიში საგარეჯოს, კასპისა და თბილისის რაიონებისათვის). ახალციხისა და ასპინძის დაბლობი რაიონებისათვის: ძირითადი ჯიში — ადგილობრივი წოფელი დოლი (წოფელთავთავიანი დოლისპური); დასაშვები ჯიში — „უკრაინკა“. ახალქალაქის, აღბულაღისა და ბაშგიჩეთის რაიონების მთიანი ნაწილებისათვის დასაშვები ჯიშები — „უკრაინკა“, ადგილობრივი დოლისპური (უკანასკნელი აღბულაღისა და ბაშგიჩეთის რაიონებისათვის). აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი რაიონებისათვის (დაბლობ და მთიან ნაწილებში): ძირითადი ჯიში — ადგილობრივი დოლისპური; დასაშვები ჯიშები — „უკრაინკა“ (მთიანი ნაწილისათვის), „კოოპერატორკა“ (დუშეთის რაიონის დაბლობი ნაწილისათვის). ამბროლაურის, ცაგერის, ონის, სამტრედიის და წულუკიძის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი დოლისპური, ხულუგო (ხოტორა), (უკანასკნელი — ამბროლაურის, ცაგერისა და ონის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის). საწარმოო პირობებში სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად მთელს რესპუბლიკაში — დოლისპური 18-46.

შემოდგომის ჭერი. ბორჩალოს სარწყავი დაბლობისა და ყარაიის მთელი რაიონისათვის: დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი ოთხრიგიანი (წიგნუმის სახესხვაობა), ნახიჩევანდანი (პალიდუში 310/1). სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაბლობი ნაწილისათვის: დასაშვები—საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები (ძველთესლი და სხვ.), ნახიჩევანდანი (პალიდუში 310/1). დანარჩენი დაბლობი და მთისპირა რაიონებისათვის: ძირითადი ჯიშები — საუკეთესო ადგილობრივი ოთხრიგიანი ჯიშები (ძველთესლი და სხვ). საწარმოო პირობებში სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში — ტრები.

გაზაფხულის ხორბალი. ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებისათვის: ძირითადი ჯიში — ჯავახეთის დიკა. რესპუბლიკის ყველა დანარჩენი რაიონებისათვის: ძირითადი ჯიში — დიკა; დასაშვები ჯიშები — გომბორული (თბილისის, გურჯაანის, აღბულაღის, საგარეჯოს, თელავისა და ლუშნებურგის რაიონებისათვის), თავთუხი (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისა და საგარეჯოს რაიონისათვის), შავფხა (გორის, რაიონისათვის), ლუტესცენსი 62 (ლუშნებურგის რაიონისათვის).

შვრია. საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ძირითადი — ხარკოვული 596, დანარჩენი რაიონებისათვის, რომლებიც შვრიას სთესავენ, დასაშვებია ხარკოვული 596, სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად: საბჭოთა („ვერხნეიაჩკა“ 339) — სტალინირის, ჭიათურის, ახალქალაქის და წითელწყაროს რაიონებისათვის.

გაზაფხულის ჭერი. ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაბლობი ნაწილისათვის ზნაურისა და ხაშურის რაიონების ფარგლებში: დასაშვები ჯიშები — კოლხიკუმ 10/30, ადგილობრივი ახალთესლი, საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი დოლისპური, ხულუგო (ხოტორა), ოფკლი (უკანასკნელი — ამბროლაურის, ცაგერისა და ონის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის). საწარმოო პირობებში სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად მთელს რესპუბლიკაში — დოლისპური 18-46.

შემოდგომის ჭერი. ბორჩალოს სარწყავი დაბლობისა და ყარაიის მთელი რაიონისათვის: დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი ოთხრიგიანი (წიგნუმის სახესხვაობა), ნახიჩევანდანი (პალიდუში 310/1). სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაბლობი ნაწილისათვის: დასაშვები—საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები (ძველთესლი და სხვ.), ნახიჩევანდანი (პალიდუში 310/1). დანარჩენი დაბლობი და მთისპირა რაიონებისათვის: ძირითადი ჯიშები — საუკეთესო ადგილობრივი ოთხრიგიანი ჯიშები (ძველთესლი და სხვ). საწარმოო პირობებში სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში — ტრები.

გაზაფხულის ხორბალი. ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებისათვის: ძირითადი ჯიში — ჯავახეთის დიკა. რესპუბლიკის ყველა დანარჩენი რაიონებისათვის: ძირითადი ჯიში — დიკა; დასაშვები ჯიშები — გომბორული (თბილისის, გურჯაანის, აღბულაღის, საგარეჯოს, თელავისა და ლუშნებურგის რაიონებისათვის), თავთუხი (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისა და საგარეჯოს რაიონისათვის), შავფხა (გორის, რაიონისათვის), ლუტესცენსი 62 (ლუშნებურგის რაიონისათვის).

შვრია. საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: ძირითადი — ხარკოვული 596, დანარჩენი რაიონებისათვის, რომლებიც შვრიას სთესავენ, დასაშვებია ხარკოვული 596. სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად: საბჭოთა („ვერხნეიაჩკა“ 339) — სტალინირის, ჭიათურის, ახალქალაქის და წითელწყაროს რაიონებისათვის.

გაზაფხულის ჭერი. ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაბლობი ნაწილისათვის ზნაურისა და ხაშურის რაიონების ფარგლებში: დასაშვები ჯიშები — კოლხიკუმ 10/30, ადგილობრივი ახალთესლი, საგარეჯოს და თბილისის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის: დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი დოლისპური, ხულუგო (ხოტორა), ოფკლი (უკანასკნელი — ამბროლაურის, ცაგერისა და ონის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის). საწარმოო პირობებში სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად მთელს რესპუბლიკაში — დოლისპური 35-28. სოღლაღის რაიონის უკანაბრისათვის და წითელწყაროს რაიონისათვის: ძირითადი ჯიში — კოლხიკუმ 10/30. ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებისათვის: ძირითადი ჯიში — ადგილობრივი ახალთესლი. რესპუბლიკის დანარჩენი რაიონებისათვის: დასაშვები ჯიშები — ადგილობრივი ახალთესლი.

ფეტვი. სოღლაღის, წითელწყაროს, თელავის, გურჯაანის, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებისათვის დასაშვებია საუკეთესო ადგილობრივი ჯიშები.

სიმინდი. დასავლეთ საქართველოს დაბლობი ნაწილისათვის (ზუგდიდის, ხობის, ფოთის, აბაშის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჭიათურის, ქობულეთის, ბაღდათის რაიონების დაბლობი ნაწილი და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის დაბლობი ნაწილი): ძირითადი ჯიში — აჯამეთის თეთრი სიმინდი (ადგილობრივი თეთრის ნაცვლად). დასაშვები ჯიშები — ჯრუჭი, იმერული ჰიბრიდი. საწარმოო პირობებში სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად ჯრუჭი (აშბროლაურის, ონის და ცაგერის რაიონების ველითა და ნაწილებისათვის), სევრო-დაკოტისა (როგორც კორპოფოლის პლატფორმისათვის საშუალოდგომა ნათესების წინამორბედი ჭიათურის და საჩხერის რაიონების ფარგლებში).

მზისუმზირა. რაიონებისათვის რომლებიც მზისუმზირას სთესავენ: დასაშვები ჯიში — კრუგლაია ა-41. საწარმოო პირობებში სამეურნეო შეფასებისათვის გამოსაცდელად მზისუმზირას მთესველ რაიონებში — „კრუგლიკ“ 1846.

სოია. შუა ნაწილისათვის: ძირითადი ჯიში — იმერული პოპულაციია, დაბლობი ნაწილისათვის: ძირითადი ჯიში — გურული პოპულაციია, მთიანი ნაწილისათვის დასაშვებია — ჭიათურის პოპულაციია.

ოთხჯა. ყველა დაბლობი და მთის პირა რაიონებისათვის: დასაშვები ჯიშებია— ადგილობრივი აკლიმატიზაციის ფრანგული ჯიში.

შენიშვნა: იმ რაიონებში, რომლებიც ზემოთ არ არიან აღნიშნული, ჯიშობრივი დარაიონება არ მომხდარა, ვინაიდან არ არსებობდა ჯიშთა გამოცდის მონაცემები. ამ რაიონებში დაიშვებიან წარმოებაში არსებული ჯიშები.

სსრ კავშირის მიწსაკომთან არსებული მარცვლეული კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
მარინიჩი

თავმდაბლობა ამშვენებს ბოლშევიკს

სიტყვაში კრემლის კურსანტთა სალამოზე (1924 წლის 28 იანვარს), რომელიც მიძღვნილი იყო ლენინის ხსოვნისადმი, ამხანაგმა სტალინმა ილაპარაკა თავის პირველ შეხვედრაზე ვლადიმერ ილიას-ძესთან ბოლშევიკურ კონფერენციაზე ტამერფორსში.

„მიღებულია, რომ „დიდმა ადამიანმა“ ჩვეულებრივ უნდა დაიგვიანოს კრებაზე, რათა კრების წევრები გულის ფანცქალით უცდიდენ მის გამოჩენას, თანაც დიდი კაცის გამოჩენისას, კრების წევრები აფრთხილებენ ხოლმე დამსწრეთ: „სს... წყნარად... ის მოდის“. ეს ჩვეულება მე ზედმეტად არ მიმაჩნდა, რადგან ის მოქმედებს ადამიანზე, უნერგავს პატივისცემას. როგორ გამიცრუვდა იმედი, როდესაც ვხედავ, რომ ლენინი კრებაზე დელეგატებზე უფრო ადრე მოსულა და, სადღაც კუთხეში მიმჯდარი, უბრალოდ საუბრობს, სავსებით უბრალოდ საუბრობს კონფერენციის საგნებით უბრალო დელეგატებთან. არ დავმალავ, რომ ეს მაშინ ზოგიერთი აუცილებელი წესის ერთგვარ დარღვევად მეჩვენა.

მხოლოდ შემდგომ მივხვდი, რომ ლენინის ეს უბრალოება და თავმდაბლობა, ეს მისწრაფება—შეუმჩნეველი დარჩენილიყო ანდა, უფველ შემთხვევაში, თვალში არ ჩავარდნოდა ყველას და ამით თავისი მაღალი მდგომარეობისათვის ხაზი არ გაესვა, — ეს თვისება წარმოადგენს ლენინის, როგორც ახალი მასების ახალი ბელადის, კაცობრიობის ურყევი „ქედა ფენების“ უბრალო და ჩვეულებრივი მასების ბელადის, ერთერთ უძლიერეს მხარეს“.

ამხანაგ სტალინის მოგონებებში, მის სიტყვებში და დახასიათებებში თვალწინ გვიდგება ლენინის ცოცხალი სახე. ლენინი—უდიდესი გენიოსი, ბელადი, მოაზროვნე. მაგრამ მაშინაც, როცა ის ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენთან ერთად, ახლაც, როდესაც ლენინი ცოცხალი აღარ არის, როდესაც მისი სახე დარჩა ჩვენს ხსოვნაში, ჩვენს ცნობიერებაში, — ილიჩი წარმოადგენს უბრალოებისა და თავმდაბლობის განსახიერებას. ასეთივე ბელადი არის ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინში ჩვენი ხალხი ხედავს, აფასებს იმავე თვისებებს, უყვარს ისინი. ლენინურ-სტალინური სტილი ჩვენ გვესმის, როგორც ბოლშევიკის ქცევის იდეალური ნორმა.

ჰეშმარიტი ლენინელისათვის, ჰეშმარიტი სტალინელისათვის ღრმად უცხოა თავის თავზე დიდი წარმოდგენის ნასახიც კი, სულ მცირე პოზა, პარადულობა, ხმაური. რა მრისხანებითა და მგზნებარებით ილაშქრებდა ლენინი ქედმაღალი და ამპარტავანი ადამიანების წინააღმდეგ, რა გამანადგურებელი და მოსწრებული ირონიით ჰგმირავს ჩვენი სტალინი გაპრიალებულ კომუნისტებს, თვითკმაყოფილ ბიუროკრატებს, დიდკაცებს, ჰომპადურებს! და, პირიქით, რა სიყვარულით, სითბოთი და პატივისცემით ლაპარაკობს ჩვენი ბელადი ნამდვილ ბოლშევიკებზე—პარტიულებზე და უპარტიოებზე, უბრალო და ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომლებიც უხმაუროდ და უაურზაურო დ მუშაობენ საერთო კეთილდღეობისათვის. აშენებენ კომუნიზმს, რომელთა პიროვნებას ახასიათებს ახალი ადამიანის თვისებები, ახალი, სოციალისტური მორალის თვისებები!

ამ მორალის მოთხოვნებს პარტია უყენებს თვითეულ თავის წევრს, მისი სამსახურებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. ამ მოთხოვნების წინაშე ყველა თანასწორია ბოლშევიკურ წრეში, რომელიც ღრმად დემოკრატიულია თავისი წესდებითა და თავისი ბუნებით. წესდების რკინისებურ წესებში, ჩვენი პარტიული მორალის წესებში არ არის გამონაკლისი არც პარტიის რიგითი წევრებისათვის, არც მისი პასუხისმგებელი მუშაკებისათვის. ბუნებრივი, გასაგები და კანონიერია ის მომთხოვნელობა, რომლითაც ხდება ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკების შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამომჟღავნება და გაკრიტიკება პარტიულ კონფერენციებზე, რომლებიც ახლა მიმდინარეობს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და პარტიულ კონფერენციებზე კრიტიკის დროს კომუნისტები თავიანთ ხელმძღვანელ მუშაკებს უყენებენ მაღალ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიული მუშაკის ტიპის სტალინური დახასიათებიდან. უბრალოება და თავმდაბლობა უნდა იყოს ყოველი პარტმუშაკის ორგანიული თვისება. ეს ღრმად შეითვისეს პარტიის კადრებმა.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ გამოსულან სხვა ყაიდის ადამიანები. ჩვენში ჯერ კიდევ არიან პარადული ხმაურის, ცარიელი პატაკების, გამაყრუებელი ტაშის, ეფექტური პოზებისა და მდგომარეობის მოყვარულნი, არიან ხოტბისა და დაფნის გვირგვინების მოყვარულნი. „სოიუზსრედმაშის“ უკრაინის განყოფილების (ხარკოვი) პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრების წინ თავიანთ დაწესებულებაში მოიწვიეს ფართო მიტინგი. მიტინგს ურჩიეს გამოეყოთ დელეგაცია იმისათვის, რომ თანამშრომელთა სახელით მისალმებოდნენ პარტიულ საანგარიშო-საარჩევნო კრებას. სიადან არის დაფნის გვირგვინების ასეთი წყურვილი, მით უმეტეს, რომ ამ დაწესებულების ხელმძღვანელთა პრაქტიკა სრულებითაც არ არის ისეთი იდეალური, რომ შეიძლებოდეს მისი შემკობა გვირგვინებით?

ქემინის რაიონში (ყირგიზეთის სსრ) რაიონული საანგარიშო-საარჩევნო კრების მომსახურებისათვის რაიკომმა მოიწვია სიმებიანი ორკესტრი.

კრების პრეზიდიუმის წევრები ადგილებს იკავებდნენ გამარჯვების ტუშის ხმაზე. მუსიკის დამკვრელთა როლში პარტიულ კრებაზე გამოდიოდნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები...

პარტიული თავმდაბლობის უხეში დარღვევის ტიპიური მაგალითის ადგილი ჰქონდა ივანოვოში 1939 წლის დეკემბერში. საოლქო გაზეთმა „რაბოჩი კრაიმ“ დაბეჭდა, უკაცრავად პასუხია, ნარკვევი - ფელეტონი საავტორიტეტო იქმნება უანგარო მუშაობით ლენინ-სტალინის საქმის სახელოდ, ხელმძღვანელის მაღალი პრინციპულობით და მისი ს

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს

მოწინავე ქალები: **ნ. უნაფქოშვილი**—პირველი საბავშვო ბაღის გამგე, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, **ლ. ჭანტურია** — ბათომის რკინიგზის საბალხო სადგურის უფროსი, **თ. კოჩნევა** — თბილისის მე-61 საშუალო სკოლის მასწავლებელი, კიროვის რაისაბჭოს დეპუტატი, **პ. მჭედლიძე** — საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანი, **ო. ბატონიაშვილი** — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის ინეინერი, **ე. დავთაძე** — საქ. აბრეშუმის მთავარი სამმართველოს უფროსი, **ქ. ჩიჩუა** — თბილისის მე-21 საშუალო სკოლის დირექტორი, **ე. გვან ცელაძე** — სამედიცინო ინსტიტუტის ორდენოსანი სტუდენტი, **ფ. ქარუმიძე**—მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი, **ნ. აგაშენაშვილი** — საქ. ალკ კიროვის რაიკომის მდივანი, **შ. თოფურიძე**—საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ინსტრუქტორი, **მ. შიხმანი** — „რეზინოსბიტის“ საქართველოს კანტორის მმართველი, **ხ. ბაზანდარაშვილი**—გორის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე.

ფოტო რ. აკოფოვისა

დაზგებთან

„... ბგი მშიერ-მწყურვალი უსუ-ლოდ დაეცა დაზგასთან... პარიზის მუშათა უბანში ახალგაზრდა მუშა-ქალმა თავის სამ შვილთან ერთად თავი დაიხოჩო... ლონდონში ნახეს მუშა-ქალისა და მის გვერდით ორი ბავშვის გვამი, დედას მოუწამლავს თავისი თავი და ბავშვები...“

ალბად რომელიმე ფრანგი ან ბრიტანელი ბურჟუა ამ კოშმარულ სურათებს ღიმმორეული ჩაუვლიდა, საგაზეთო ქრონიკების სტრიქონები კი ცრემლებს აფრქვევენ განწირულთა ბედზე. ეს ბედი კაპიტალისტური საწარმოების მუშა-ქალთა ჩვეულებრივი ხვედრია.

სოციალიზმის სამშობლოს. სტალინური კონსტიტუციის მზით გამთბარი ქვეყნის მუშა-ქალთა ხვედრი კი თავისუფალი შრომა, საამური ცხოვრება და მამაკაცთან სრული უფლებრივი თანასწორობაა.

ეი რამდენიმე მაგალითი ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ზოგიერთი საწარმოს მუშა-ქალთა ცხოვრებიდან:

დღეს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კონფერენციაზე დელეგატებს შორის მრავლად არიან დაზგის მუშა-ქალები, მათ შორისაა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი მქსოველი ამხ. ჟ. ზაქარეიშვილი. იგი, როგორც ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის წევრი, თავისი ენერგიული მუშაობით მაგალითს უჩვენებს ფაბრიკის მუშებს; მომსახურებას უწევს ექვს საქსოვ დაზგას და საწარმოო გეგმებს დიდი გადამეტებით ასრულებს. ამხ. ზაქარეიშვილი 15 წლის მოვიდა ფაბრიკაში. ათი წელია რაც დაზგაზე მუშაობს, უყვარს იგი, ყოველდღიურად ზრდის გეგმების შესრულების მაჩვენებლებს და თვითონაც იზრდება, შეძლებულად ცხოვრობს, განათლებას ეწაფება. ასეთი ქალები აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში საკმაოდ არიან; ლ. კაკალეიშვილი, თ. ბარამიძე, თ. კაპანაძე, ნ. მარკოზაშვილი და სხვები ჩინებულად მუშაობენ მრავალ დაზგაზე.

მუშა-ქალებმა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ბევრი მათგანი დეპუტატად აირჩიეს, როგორც მაგალითად თბილისის კამოლ-მაუდის ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველი, ძაფის უფროსი მიმმართველი ამხ. ლ. კვარაცხელია. იგი ერთსულოვნად აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ლ. კვარაცხელია უკვე ელეთვიურ საწარმოო გეგმას 125-130 პროცენტით ასრულებს. ამავე დროს იგი კარგი საზოგადოებრივი მუშაკია.

ქალები მანქანათმშენებელ ქარხნებშიც მუშაობენ და მამაკაცებს რიდი ჩამორჩებიან. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ცნობილი სტახანოველი ამხ. პაშა ტერეშჩენკო 9 წელია რაც ქარხანაში მუშაობს, ამჟამად ის საბრდაზგას უწევს მომსახურებას. მას იცნობენ როგორც მოწინავე, კულტურულ მუშა-ქალს, საწარმოო დავალებას ყოველთვის გადამეტებით ასრულებს. იანვრის საწარმოო გეგმა მან 441 პროცენტით შეასრულა. მას გვერდს უმშვენებს სტახანოველი ნინა ბედნენკო, რომელმაც თებერვლის საწარმოო გეგმა 235 პროცენტით შეასრულა.

ჩვენს ფაბრიკებში, ქარხნებში ბევრია ასეთი წარჩინებული ქალები, წარმოების ნოვატორები, საუკეთესო სპეციალისტები, მათი აწყობა მშვენიერია, მომავალი—კიდევ უკეთესი.

აკ. შოლია

მუხლი 122. ქალს სსრ კავშირში ენიჭება მამაკაცთან ან თანასწორი უფლებანი საშეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ქალის ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცთან თანასწორი უფლება შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა, დედისა და ბავშვის ინტერესთა სახელმწიფო დაცვით, ორსულობის დროს ქალისა თვის შვებულების მიცემით და ხელფასის შენარჩუნებით, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბაღების ფართო ქსელით.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან

მეცნიერი ქალები

სოფიო ენუქიძემ 1928 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და დატოვებულ იქნა ამავე ინსტიტუტის კლინიკაში ორდინატორად. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ სოფიო ინსტიტუტის ნერვულ დაავადებათა კათედრის ასისტენტად დანიშნეს. ამით მის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. სოფიომ მტკიცედ გადასწყვიტა მოეპოვებინა სამეცნიერო ხარისხი. იგი გაბედულად, გულმოდგინედ შეუდგა მიზნის განხორციელებას. და 1937 წელს სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. ეს ახალგაზრდა ქალის პირველი გამარჯვება იყო. მაგრამ მას ეს როდი აკმაყოფილებდა.

1938 წელს სოფიოს სამეცნიერო მივლინებაში ჰგზავნიან ლენინგრადის ბეხტერევის სახელობის ტვინის ინსტიტუტში. შემდინარე წლის იანვარში კი იგი ლენინგრადის მეორე სამედიცინო ინსტიტუტში წარმატებით იცავს დისერტაციას სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. მას დღემდე დაბეჭდილი აქვს 24 სამეცნიერო შრომა. ყველა ამ შრომებს მიღებული აქვთ საუკეთესო შეფასება.

ნერვულ დაავადებათა დარგში ყველაზე საინტერესოა ნერვული სისტემის მორფოლოგიის დარგი, რომელიც ჩვენში ახლად იქმნება. ამ დარგში აწარმოებს მუშაობას სოფიო ენუქიძე.

სოფიო ენუქიძე — მედიცინის მეცნიერების დოქტორი.

დაუღალავად და ენერგიულად მუშაობს მედიცინის ფრონტზე სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი დარია ბერეჟიანი. იგი ჯერ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკია, მაგრამ მრავალი შესანიშნავი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, რომელთაც ახალი რამ შეაქვთ ჭირურგიულ მეცნიერებაში.

სახელმოხვეჭილი პროფ. შარიამ უგრელიძე ჩვენი ნორჩი თაობის მკურნალია. მას სამართლიანად უწოდებენ ბავშვების მეგობარს. იგი თავდადებული და დაუღალავი მუშაკია. მარიამს თავისი მაღალპროფესიონალური მკურნალობით არა ერთი და ორი ბავშვი გადაურჩენია დალუპვისაგან.

დოკენტი ჭყონია ცხაკაია აქტიურად მუშაობს მცენარეთა ანატომიასა და ფიზიოლოგიის დარგში. იგი მოწინავეა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. არჩეულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

დოც. სოფიო ჯერელაშვილი ნაყოფიერად, ენერგიულად მუშაობს ქიმიურ მეცნიერებათა დარგში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად; დაჯილდოებულია ორდენით.

ასთანავე დაუღალავ მუშაობას ეწევიან სამეურნეო ფრონტზე პროფ. რუსუდან ნიკოლაძე, პროფ. ნ. ციციშვილი, მეცნიერი მუშაკები: დარეჯან ვაშაკიძე, ქეთევან ლომთათიძე, ალექსანდრა ბაღდავაძე, მარიამ ჭელიძე, ეკატერინე ერისთავი, ანა ხარაძე და სხვა მრავალი.

განა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ ქალებს შეუძლიათ მიაღწიონ ასეთ დონეს? არა. ექ მათ ამის შესახებ ოცნებაც ვერ გაბედავდათ. მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის უდიდესი მზრუნველობის მეოხებით მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის ბედნიერმა ქალიშვილებმა სამეცნიერო მუშაობის მაღალ მწვერვალებამდე.

შ. ცარციძე

ჩვენი ქვეყნის ქალს

ძველი ცხოვრების მსვლელობამ
ქალი გახადა მონადა,
ლენინის დროშის ფრიალმა
შეჰკონა ვარდის კონადა.
შენს კანონიერ უფლებას
ძველი კანონი სთელავდა,
ქალის უფლებას ძველი დრო
ანადგურებდა, სცელავდა.
თავისუფლების მწვერვალზე
ახალ კანონით ახველი:
გაჰკაჟდი, გამოიცვალე —
ჰკვირდება შენი მნახველი.
სოფლად ამშვენებ არტელებს
და ფაბრიკებსაც ქალაქად
ირჩენ ძველ დროის ტკივილებს
დასმულს დაღ-ნაბეჭდ-ნალაქად.
მინდორში ყამირს აბრუნებ,
უშიშრად დაჰკრა ცხვედა,
ვერ გიმაგრდება საღი კლდე,
ყინულს მიამტვრევ ზღვაზედა,
ვაჟკაცურ საქმეს აკეთებ,
რაც გინდა იყოს საძნელო,
თოფ-იარაღში ჩამჯდარო,
ქალო, სამშობლოს დამცველო!
ვაჟკაცებს გვერდში უდგეხარ
გიხდება ტანზე საცმელი;
ვაჟკაცისა გაქვს უფლება,
ვაჟკაცთანა ხარ სათქმელი.
რვა მარტი შენი დღე არის
იყავი გახარებული
წინ წადი ამისრულევი
ეს ჩემი დავალებული:
—დიდი ლენინის ანდერძის
სიტყვები თაფლით ნარევი
გახსოვდეს საქმედ აქციე,
დასტკბი და გაიხარევი.

ისაკო ჭირნანაშვილი.
სოფ. ანაგა, სოღნალის რაიონი.

მოწინავე ინჟინერი

სადიპლომო შრომა ფრიადზე შეაფასეს. ოპონენტები განცვიფრებას გამოსთქვამდნენ ახალგაზრდა ქალის მომზადებით. პროფესორ-ლექტორები ამაყობდნენ. მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამხანაგ ოლღა ბატონიაშვილმა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია მიიღო.

ქალი — ინჟინერი!

რა ბევრის მთქმელია, რა ამაყად გაისმის ეს სიტყვები!

დაამთავრა თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საგზური მიიღო. მექანიკური საამქროს ინჟინრად დანიშნეს.

მისთვის ჩვეული ენერგიით, საქმის სიყვარულით და გატაცებით დაიწყო მუშაობა. იგი საამქროში უმთავრესად ხარისხის საკითხებზე მუშაობს და თუ ახლა სახარატო დაზგები წუნდებულ პროდუქციას არ ამზადებენ, ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის ოლღა ბატონიაშვილს.

მეტისმეტად შრომის მოყვარე, თავდადებული და გამრჯე ქალია იგი. უსაზღვროდ თავაზიანი და გულისხმიერია საამქროს მუშებისადმი. მუშებიც დიდად აფასებენ, მოკრძალებით ექცევიან, პატივსცემენ ნიჭიერ ინჟინერ ქალს.

ნახეთ იგი საამქროში მუშაობის დროს და თქვენ დარწმუნდებით მის თავდადებასა, გულმოდგინებასა და სამშობლოსადმი სიყვარულში. იგი ხან ერთ დაზგასთან არის და სტახანოველს ეხმარება, ხან მეორესთან და სტახანოველის ორთქლმავლის ნაწილების გამოჩარხვაში, ნაწილთა ზომის გამოანგარიშებაში შველის, ხანაც ახალ საწარმოო განრიგს აცნობს მუშებს. მას უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ ნახავთ. ყოველთვის ახლის ძიებაშია. ჭეშმარიტად წარმოების მოწინავე მეთაური ქალია იგი.

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ა. მოხეშვილი არაორგანული ქიმიის კაბინეტში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მოწინავე ქალები აჭარიდან

ისინი მზიარული კისკისით მოდიოდნენ და მოიმღეროდნენ, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულნი. მანქანას გზა უტოეს და ცხმორისის ფერდობს შეეფინენ აბრეშუმის კაბების შრიალით, მცხუნვარე მზით სახე გალაჟღაჟებულნი.

— ეტყობათ ქორწილში მიდიან. ალ, ჩვენი შორეთიც მათთან არის... ჩვენ რომ დავეძებთ, — გვეუბნება ქედის რაიონის მიწგანის მთავარი აგრონომი.

შორეთ კონცელიძე ქედის რაიონის საამაყო ადამიანია.

ჩვენ ის რამდენიმე ხნით ჩამოვაცილეთ თავის თანამგზავრებს—ბედნიერ აჭარელ ქალებს.

— ჩვენს მეზობელს ქორწილი აქვს, იქ მივდიოდით, გვიპასუხებს შეკითხვაზე შორეთი და მექანიკურად ხელს იფარებს ტუჩებზე. ეს ჩვეულება მამაკაცთან საუბრის დროს მას შერჩენია წყეული ჩადრის ტარებით.

როდესაც ჩადრი გუხსნეთ, მან მოწყვეტით ხელი ჭირს დაუშვა და მომღიმარი სახით დაგვიწყო ლაპარაკი თავის წარსულსა და აწმყოზე, თავისი კოლმეურნეობის ცხოვრებაზე.

— გვიამბეთ შორეთ, რაშია თქვენი მეთოდის თავისებურება?

— გულმოდგინე მუშაობაში, — მოკლედ ამბობს შორეთი და არაჩვეულებრივს არაფერს ხედავს იმაში, რითაც მან მთელი რაიონის მეთამბაქოები გააკვირვა. და გააკვირვა აი რით!

შორეთ კონცელიძემ ქედის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ის თამბაქოს სანერგის გამგეთ მუშაობს, მარშანაგ ოლღა საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკიცაა. იგი დაუღალავად მუშაობს თავისი იდეური და ტექნიკური დონის ამაღლებაზე. მის მდიდარ ბიბლიოთეკაში ტექნიკური ლიტერატურის გვერდით თქვენ ნახავთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის გენიალურ შრომებს, შექსპირის, გოეთეს, ჰეინეს, პუშკინისა და რუსთაველის კლასიკურ ქმნილებებს.

ქარხნის მუშებმა დააფასეს მისი პატიოსანი და თავდადებული შრომა. იგი ამას წინათ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. რამდენიმე თვის წინათ განხორციელდა აგრეთვე მისი საუკეთესო ოცნება — იგი ბოლშევიკთა სახელოვანი პარტიის რიგებში მიიღეს.

ასე იბადებიან და იზრდებიან ჩვენს ქვეყანაში ახალი შესანიშნავი ადამიანები, ნიჭიერი ქალები და ვაჟები. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ხდება ასეთი ამბები, მხოლოდ სტალინურ ეპოქაშია ეს შესაძლებელი.

ჭეშმარიტად, მომხიბლავი, წარმტაცი და შინაარსიანია საბჭოთა ბედნიერი ქალის ცხოვრება, მუშაობა.

პ. ჯიოკაძე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსელე გახყოფილების ატაახოველი იხსტრუქტოოი ლილი ბაკრაძე. ამხ. ბაკრაძემ აიღო ვალდებულება, რომ მისი განყოფილება 1940 წელს გეგმას შეასრულებს 125 პროცენტით.

ფოტო რ. აკოფოვისა

მაღაროებში

სიობლესა და სიღარიბეში გაზრდილს, შრომისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე შთაენერგა. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ტყიბულის სტალინის სახელობის მაღაროს სალამპე საამქროში, სადაც მალე მელამპეთა ბრიგადირად დამაწინაურეს.

სალამპე საამქროში მუშაობა არ მაკმაყოფილებდა. მინდოდა მაღაროში მამაკაცების გვერდით აქტიური მონაწილეობა მიმეღო ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლაში.

და მართლაც 1939 წლის 2 ოქტომბრიდან სტალინის სახელობის მაღაროში ქვანახშირის ტვირთვაზე სტახანოვურად ვმუშაობ. 26,6 ტონის ნაცვლად ღღეში 70-80 ვტვირთავ.

ჩემი მუშაობა დააფასეს. ვიყავი ტყიბულის მაღაროელთა იმ დელეგაციის წევრი, რომელმაც დაათვალიერა სტახანოვური მოძრაობის სამშობლო — დონბასი.

დონბასში ფართოდაა გამოყენებული ქალთა შრომა. ტრესტ „ორჯონიკიძეუგოლის“ შახტა № 1-2 „ურანი ოქტიაბრში“ ელმავლის მეშანქანედაც კი ქალები მუშაობენ.

სტალინის სახელობის მაღაროში მოტორისტებად მუშაობენ ქალები, რომლებიც საუკეთესოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ასეთებია: შურა კოლჩევა, ნატაშა ზიბროვა, ანია ბაზალიუკი და სხვ. შურა კოლჩევა ორ მოტორს და 1 კონვეიერს მართავს.

ჩვენს საყვარელ სამშობლოში ქალი მამაკაცთან თანასწორია ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში. ეს უფლება ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ მოგვანიჭა.

თამარ გვენეტაძე

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მტვირთავი.

ბავშ ების მეგობარი და აღმზრდელი

ჩვენ სახლში არ წვალობთ, სწავლა გვწყურია, სწავლის გემო როცა ვიგემეთ, ახლა გვეუბნებიან—სახლში წადითო“.

ასეთი საყვედურებით მიმართავდნენ სოფელ ქვემო ვანეთის (გორის რაიონი) მოსწავლეები ნატალია უნაფქოშვილს, რომელიც 1908 წელს მასწავლებლად იყო ამ სოფელში. სამწუხაროდ, ნატოს არ შეეძლო მათთვის დახმარების გაწევა, ახალი სკოლის გახსნა.

ნატალია უნაფქოშვილს მაშინ, იმ შავბნელ წარსულში, ხშირად ნახავდით სოფლის გოგო-ბიჭებში ჩამჯდარს. მასწავლებელი ქალი მათ უკითხავდა წიგნებს, აყვარებდა ეართულ სიტყვას, უნერგავდა სიყვარულს სამშობლოსადმი და სიძულვილს სულთამხუთავი მეფის რეჟიმისადმი. ნატალია უნაფქოშვილის ინიციატივით სოფელში დაარსდა ორკვირეული ხელნაწერი გაზეთი „ლამპარი“. მისი თანამშრომლები—ეს მისი მოწაფეები იყვნენ.

ნატალია უნაფქოშვილი, ჩუმი, უპრეტენზიო მოღვაწე, ღარიბი სოფლელების ნამდვილი მეგობარი იყო იმ დუხჭირ ხანაში. წარმოდგენების დადგმის, საბრძოლო მოწყობისა და ყველა სხვა სახარგებლო საქმეების ინიციატორიც ის იყო.

უნაფქოშვილმა საკუთარი საშუალებებიც კი არ დაიშურა იმისათვის, რომ სოფლად კულტურა და სიხალხე შეეტანა. იგი ერთერთი პირველი მოღვაწეთაგანია, რომლის თაოსნობითაც სოფ. ქვემო ვანეთში ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი. ამხ. ნატალია უნაფქოშვილის ვითარებით მოეწყო ჭრაკერეთის ჯგუფი.

ამჟ. ნატალია მაშინ მარტო იყო, მას არც დამხმარე, არც წამქეზებელი და მხარდამჭერი ჰყავდა. მაგრამ გული არ ასცრუებია საზოგადო საქმეზე. იგი დაუღალავად განაგრძობდა ხალხის სამსახურს.

დადგა 1921 წელი, თბილისში, სასამართლოს ეზოზე მოეწყო პირველი საბავშვო ბაღი, ნატალია უხაფქოშვილი დახმარდა ამ შენობაში თავმყრილ ხალხს. აქ ითქვა ულამაზესი და უგულწრფელესი ბავშვური სიმღერა საბჭოთა ხალხის საყვაოელ ბელადზე, დიდ სტალინზე.

აღსანიშნავია ნატალია უნაფქოშვილის უდიდესი ენერგია და განსაკუთრებული პედაგოგიური უნარი სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმეში. 1921 წლიდან მისი ენერგიული მუშაობის შედეგად ეს საბავშვო ბაღი წარმოადგენს სანიმუშო საბავშვო ბაღს.

ორი დიდი ამოცანა დგას ჩვენს წინაშე—ამბობს ამხანაგი ნატალია უნაფქოშვილი, — პირველი — ბავშვთა ყოველმხრივი განვითარება, მათი ჯანმრთელობის განმტკიცება და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა და მეორე — დახმარება დედისადმი, რათა მან შვილად იმუშაოს და მიიღოს აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ ამოცანას სანიმუშოდ ახორციელებს განსახკომთან არსებული პირველი სამაგვო ბაღი. ამ ბაღის გამგედ უკვე მეორე ათეული წელიწადია რაც მუშაობს ნატალია უნაფქოშვილი.

ამხ. უნაფქოშვილი შრომლისური სიყვარულით არის აღზრდილი ბავშვების მიმართ, მას უყვარს ბავშვები და ბავშვებსაც უყვართ იგი. მას მესწავლეილი ჰყავს თვითეული ბავშვი. წლების განმავლობაში ერევა ბავშვებთან ყოფაში. უნდა ნახოთ როგორ სწუხს ეს კეთილი ადამიანი, როდესაც ზოგიერთი მისი ბაღიდან სკოლებში მიჰყავთ მოზრდილი ბავშვები.

ოთხი წლის განმავლობაში ჩემთან ყოფის შემდეგ ბავშვები მცილდებიან, მაგრამ ხშირად მეწვევიან სტუმრად. დიდთ კმაყოფილი ვარ, რომ ისინი თითქმის ყველანი ფრიადოსნები არიან — ამბობს ამხ. ნატალია.

ნამდვილი შრომლისური სიყვარულით შეჰხარიან ბავშვები თავის გამზრდელს ნატალია უნაფქოშვილს, ბავშვებს უხარიათ დილით საბავშვო ბაღში მისვლა, ნატოსაც უხარია მათი დახვედრა. ის დედობრივი სიყვარულით უალერსებს თვითეულ მათგანს. ბავშვებმა ლექსიც კი შეთხზეს საყვარელ მასწავლებელზე.

„ნატო მასწავლებელო,
გულის გამხარებელო“...

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება აფასებს ასეთ უანგარო მოღვაწეს, როგორც ნატალია უნაფქოშვილია.

ნატალია უნაფქოშვილი საზოგადო მოღვაწე ქალი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და ბედნიერი, სტალინური ქვეყნის ყვავილების — ჩვენი ბავშვების შესანიშნავი აღმზრდელი და მეგობარია.

ელ. ჩიტიშვილი.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მტვირთავი თამარ გვენეტაძე.

ფოტო დ. საბელაშვილისა

ᲓᲐᲛᲐᲒᲔᲑᲔᲚᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ